# ქართული აზრი

„ყოველგვარი სიძულვილის გარეშე, ყველასადმი სიყვარულით, სიმართლის ღრმა რწმენით, რამდენადაც ამის დანახვის შესაძლებლობას ღმერთი გვაძლევს, ვეცდებით მივიყვანოთ ჩვენი საქმე ბოლომდე“.

**აბრამ ლინკოლნი. 1865 წ.**

№ 4 — **GEORGIAN OPINION** — **NEW YORK, MARCH 1956**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ნიუ იორკი, მარტი 1956**

თბილისში მასიური დემონსტრაცია მოეწყო. დემონსტრანტებმა დაიკავეს მთავრობის სახლი, გაზეთ „ზარია ვასტოკა“-ს შენობა, ფოსტა-ტელეგრაფი და კიდევ რამდენიმე სხვა მნიშვნელოვანი დაწესებულება. დემონსტრაციის დასაშლელად გამოიყვანეს რუსული ჯარის ნაწილები. ერთი ცნობით მოკლულები არიან ორივე მხარეზე; მეორე ცნობით მოკლულია 30 დემონსტრანტი; ხოლო მესამე ცნობით, ჯარს ნაბრძანები ჰქონდა ხალხისათვის არ ესროლა და მსხვერპლი საერთოდ არ არისო. დემონსტრაცია დაშალეს. ჯარმა წესიერება აღადგინა. მოსკოვიდან სასწრაფოდ თბილისში ჩაფრენილან ჯერ მარშალი ვოროშილოვი და შემდეგ მარშალი ჟუკოვი.

ასეთი დემონსტრაციები საბჭოთა კავშირში უკვე 30 წელია არავის გაუგონია. ამიტომ შ. შტატების პრესამ ამ უჩვეულო ამბავს საგულისხმო ადგილი დაუთმო. მაგრამ, სამწუხაროდ, პრესამ არ სცადა მოვლენისათვის ანალიზი გაეკეთებინა და დაკმაყოფილდა მხოლოდ ზერელე შეფასებით: ქართველებმა სტალინის ხსოვნის დასაცავად დემონსტრაცია მოაწყესო. თბილისის დემონსტრაციის ასეთი შეფასება საქართველოს დღევანდელი მდგომარეობის სრული უცოდინარობის შედეგია.

ჩვენ ადვილად წარმოგვიდგენია, რომ სტალინს საქართველოში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, დაჯერებული მომხრეებიც ჰყავდეს. 30 წლის მანძილზე ბევრი ახალ გაზრდა გაიზარდა და მოიწყო თავისი ცხოვრება სტალინის უშუალო თუ არა პირდაპირი მფარველობით. გარდა ამისა, საქართველოში ზოგიერთები ერთგვარ ეროვნულ სიამაყეს განიცდიდნენ იმით, რომ რუსეთის სათავეში ქართველი იყო. მიუხედავად ამისა, ქართველი ხალხის დიდ უმრავლესობას სტალინის სიმპატია არასოდეს ჰქონია. იმ თაობისათვის, რომელსაც 1921 და 1924 წელი ახსოვს, სტალინი უსაშინელესი მტერი იყო ქართველი ერის, რადგან 1921 წელში საქართველოს დამოუკიდებლობის დაღუპვა სტალინის ინიციატივით მოხდა; მან მიუსია რუსული ჯარი საქართველოს და თავისი სამშობლო დაუმორჩილა რუსეთს (მაშინ ერქვა რუსეთის საბჭ. რესპუბლიკა); 1924 წელშიც სტალინის ინიციატივით და მისი პირადი ბრძანებით მოხდა ქართული ეროვნული ინტელიგენციის განადგურება. ამის შემდეგ მომხდარი დაუსრულებელი წმენდები და ჟლეტა ქართველებისა მუდამ სტალინის საქმე იყო. ეს საქართველოში ყველამ იცოდა. ამიტომ დიდ შეცდომას უშვებს უცხოეთის პრესსა, როცა ამბობს, რომ სტალინი საქართველოში განსაკუთრებით უყვარდათო.

მომხდარი დემონსტრაციის მიზეზები უფრო ღრმად არის. სტალინის სიკვდილის შემდეგ საქართველოში მრავალი „წმენდა“ მოხდა. სტალინის სიკვდილიდან ბერიას ლიკვიდაციამდე თითონ ამ ჯალათმაც მოასწრო საქართველოში ორი მასიური წმენდის ჩატარება. ხოლო ბერიას ლიკვიდაციის შემდეგ დღემდე, ხან ნაწილობრივ და ხან მთლიანად, უკვე **მეშვიდედ** იცვლება პარტიული და ადმინისტრაციული კადრის შემადგენლობა. ამ კადრების ცვლილებას მუდამ თან სდევს „მავნებელთან“ ან სამსახურით და ან პირადი ნაცნობობით დაკავშირებული ადამიანების ლიკვიდაციაც. ყოველი წმენდის დროს პარტიულებთან ერთად ისჯება უპარტიო ინტელიგენციის თვალსაჩინო ნაწილიც. ასე გრძელდება წლობით.

ბერიას მოსპობის შემდეგ საქართველოში მთელი ძალა-უფლება ჩაბარდა რუსული ჯარების მთავარსარდალს გენერალ ანტონოვს. ქალაქებში ერთი ხნით შემოღებული იყო სამხედრო წესები. დაწესდა სამხედრო ცენზურა. მოსკოვმა ყველა ქართველი ეჭვის ქვეშ დააყენა. ერთ ხანს ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ გენ. ანტონოვმა ათი სანდო კაციც ვერ იშოვა, რომ მათთვის საქართველოს მთავრობა და მინისტრები დაერქმია. ამიტომ 1-ლ მაისის დღესასწაულზე, თბილისელ მუშებს, საქართველოს მთავრობის სახელით მიესალმა თვით გენ. ანტონოვი! შემდეგ უკრაინაში გამონახეს ხრუშჩოვის ყოფილი თანამშრომელი ვიღაც მჟავანაძე და მას ჩააბარეს პარტიის ცეკას პირველი მდივნობა. მჟავანაძეს ძალიან გაუძნელდა „მთავრობის“ შედგენა. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ „მთავრობის“ შემადგენლობას ყოველ ორ-სამ თვეში ცვლიან. ამა წლის იანვრის 28-ს თბილისის რადიო იუწყებოდა, რომ მოხსნილია თანამდებობიდან:

„მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დავით მალაქაშვილი; წარმოების მინისტრი გიორგი რობაქიძე; სასოფლო მეურნეობის მინისტრი სერგო დურმიშიძე; აღმშენებლობის მინისტრი გიორგი ჯაბუა“ და სხვ. (იხ. მე-4-ე გვ.)

თებერვალში კიდევ ცვლილებები მოხდა.

რამ გამოიწვია ეს ამბები?

ბერიას ლიკვიდაციას მოჰყვა საქართველოს მიმართ მოსკოვის პოლიტიკის რადიკალური შეცვლა. დაიწყო სრულიად დაუფარავად, უხეშად, „დარტყმითი წესით“ ქართველი ერის გარუსების პოლიტიკა. დაბებსა და სოფლებში ქართული სკოლების ნაცვლად რუსულის გახსნა. დაწესებულებებში საქმის წარმოებისათვის რუსული ენის შემოღება. ქუჩებისა და დაწესებულებების წარწერების რუსულად გადაკეთება. ქართულ სკოლებში და უნივერსიტეტში რუსული ენის, ლიტერატურის და ისტორიის საათების გადიდება და მთელი რიგი საგნების მხოლოდ რუსულად სწავლების შემოღება. რუსი ჩაერია ყოველგვარ საქმიანობაში: კოლხოზში, ქარხანაში, სახელოსნოში, თეატრში, კინოში, და საქართველოს ყოველ კუთხეში, ქალაქში და მიყრუებულ სოფლებში ყველაფერი საკუთარ კონტროლს დაუმორჩილა.

შეიქმნა აუტანელი პირობები. ხალხი აქტიურ წინააღმდეგობას ერიდება მასიური რეპრესიების შიშით, მაგრამ პროტესტისათვის სხვა გზას პოულობენ: რუსულ ენასა და რუსობას ბოიკოტს უცხადებენ! ამ წლის დასაწყისში თბილისში ნამყოფი უცხოელის ცნობით, თბილისელი მილიციონერიც-კი რუსულად პასუხს აღარ იძლეოდა! ამასაც მოჰყვა რეპრესიები: თებერვალში მთელ საქართველოში მოხსნეს სამსახურიდან პარტიული ორგანიზაციების მდივნები, 2,800 კაცი. ნაწილს უკვე გამოუტანეს განაჩენი, დანარჩენები ციხეებში სხედან და ელიან განაჩენს.

ერთ უცხოელს მოსკოვში უსაუბრია ვიღაც ქართველთან. ამ ქართველს ახდილად უთქვამს: „საბჭოთა კავშირში დღეს ქართველების მდგომარეობა ცოტათი განსხვავდება ჰიტლერის გერმანიაში ურიების მდგომარეობიდანო.

ამ საშინელი მდგომარეობის შედეგი და გამოძახილია მარტის დემონსტრაცია. ხალხმა ველარ აიტანა მოსკოვის უხეში პოლიტიკა და ისარგებლა შესაფერი მომენტით თავისი ცხოვრებისა და უფლების დასაცავად. სტალინის სურათს ამოფარება ხალხმა მიიჩნია ერთ, ჯერ კიდევ ნებადართულ და ლეგალურ გზად აღვირახსნილი რუსული იმპერიალიზმის საწინააღმდეგო პროტესტისათვის. ხალხმა ამ ხერხს მიმართა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო არა მარტო პარტიულმა, არამედ უპარტიო, პატრიოტულად განწყობილმა მასამაც და ალბად სწორედ მათი დაწოლის შედეგია პარტიულების ამოძრავება.

ასეთია ჩვენი ერის უნუგეშო სინამდვილე. ამ დემონსტრაციებს უთუოდ ახალი რეპრესიები მოყვება. საქართველოს დიდი გასაჭირის დღეები უდგას. მაგრამ თბილისში ამჟამად დანთხეულმა უმანკო სისხლმა შეიძლება პარტიულები და უპარტიოები, ე.ი. მთელი ხალხი ერთ პირად შეჰკრას და შეადუღაბოს. ეს იქნება ამ თავგანწირვის დადებითი შედეგი. თუ ქართველთა შორის მოღალატესა და რენეგატს მოსკოვი ველარ იშოვის, მას გაუჭირდება ქართველი ხალხის მასიური ჟლეტა. ნამდვილ, მტკიცე ერთობაზე უკეთ დღეს საქართველოს ვერაფერი დაიცავს.

თბილისის დემონსტრაციები ახალი და უტყუარი ფაქტია, რომ ქართველი ერის მებრძოლი სული მოსკოვის უხეშობას ვერ გაუტეხია და ქვეყანა განაგრძობს თავისუფლებისათვის ბრძოლას.

---

## მსოფლიოს აღრევის მიზეზები

### IV

ვინც თანამედროვე რუსეთის ცხოვრებას დააკვირდა და საფუძვლიანად შეისწავლა, მას რჩება შთაბეჭდილება, რომ კრემლის ყოველი ფიგურა ემორჩილება რაღაც უზენაეს ძალას ყოველგვარი პროტესტისა და წინააღმდეგობის გარეშე და მას ინერციულად მიყვება. ჩვენის აზრით ეს უზენაესი ძალა მსოფლიო გეგემონიის სურვილია, რომელმაც შეიპყრო რუსეთის ყოველი რეჟიმი და მისი ამ სენისაგან განკურნება ველარ მოხერხდა. რევოლუციამდე რომანოვები პან-სლავიანური იდეებით ცდილობდნენ ისეთი ძალის შექმნას, რომლის წინაშეც ქედს მოიხრიდა კაცობრიობა. დღევანდელი რუსეთისათვის კომუნიზმი შეიქმნა მიზნის მისაღწევი საშუალება. საჭიროა პირუთვნელად ვაღიაროთ, რომ კრემლის დიპლომატია უფრო ელასტიური და მოხერხებული აღმოჩნდა და დღევანდელი რუსეთის ყველა რომენოვებს კმაყოფილებას განაცდევინებდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რუსეთმა მთელი თავისი მოქმედება აღ. აზია-აფრიკაში გადაიტანა. რუსეთი ძალიან ენერგიულად, მეთოდიურად და დაგეგმილად მოქმედობს, რათა ყოფ. კოლონიებში, ეგვიპტე-ინდოეთ-ინდონეზიაში მოსპოს დასავლეთელების გავლენა და იქ თავისი სასარგებლო პოლიტიკურ-ეკონომიური პირობები დაამყაროს. ამგვარად გაძლიერებული რუსეთი რისხვად მოევლინება ევროპას. ის უკვე სკანდინავია, ფინეთ, გერმანია, უნგრეთით ადგება ბელგრადს და თუ მოსკოვის დაწოლით, შინაური ან საერთაშორისო მოტივებით ოსმალეთ - საბერძნეთის ნეიტრალიზაცია მოხდა და ატლანტიურ ქვეყნებს საბოლოოდ დაშორდნენ, მაშინ მდგომარეობის ლოღიკური დასკვნა იქნება ანგლო-საქსონური ქვეყნების იზოლაცია, რაც მოსკოვის გარდაუვალი მიზანია და რისთვისაც მოსკოვი იღვწის.

ყოველი ქვეყანა, ყოველგვარ შევიწროებას უძლებს ომის დროს. რუსეთი უკვე 38 წელი ომის პროცესშია და უკეთესი მომავლის ე.ი. მსოფლიო გეგემონიის იმედით უძლებს და იტანს ცხოვრების იმ ჯოჯოხეთურ პირობებს რომელიც საბჭოთა რეჟიმმა მას შეუქმნა.

რუსეთს გადაწყვეტილი აქვს მსოფლიოსთან დაპირისპირებიდან გამარჯვებული გამოვიდეს. ეს მოითხოვს სამხედრო პოტენციალის მაქსიმუმამდე დაძაბვას და მას ხმარდება ამ უზარმაზარი იმპერიის მთელი ეკონომიური რესურსები. ხოლო ამავე დროს კრემლმა ისიც იცის, რომ ისეთი ძალის შესაქმნელად, რომელიც გამარჯვების შანსებს მის მხარეზე გადახრის,, საჭიროა დრო და ეს დრო უნდა მოიგოს „ღიმილის“ პოლიტიკით, ან სამეგობრო და თავდაუსხმელობის პაქტების შეთავაზებით. ამ პროგრამის ერთი პარაგრაფია ბულგანინის წინადადება, რომ საბჭოთა კავშირს და შეერთებულ შტატებს შორის 20 წლიანი მეგობრობისა და თავდაუსხმელობის პაქტი დაედოთ. ბულგანინის აზრით ეს იყო ლოღიკური გაგრძელება ჟენევაში შექმნილი ატმოსფეროსი. ცხადია, საბჭოთა დიპლომატიას არ არგებს მოგონება, რომ ჟენევის ატმოსფერო უკვე წარხოცა „მეორე ჟენევაში“ მოლოტოვის უხეშმა თავდასხმამ დასავლეთზე, რის გამოც „ოთხი დიდის“ გარეშე საქმეთა მინისტრების კონფერენცია სრულიად უშედეგოდ დაიშალა

შ. შტატების კატეგორიულმა უარმა გაკვირვება გამოიწვია, არა მარტო მიამიტ ადამიანებში, არამედ ზოგიერთ საქმეში ჩახედულ წრეებშიც. გვეკითხებიან: რა შთაბეჭდილებას მოახდენს ნეიტრალურ ქვეყნებზე შ. შტატების უარი. ამას ხომ გამოიყენებს საბჭოთა კავშირი საპროპაგანდოთ და იტყვის: თუ შ. შტატებს არა სურს მეგობრობის და თავდაუსხმელობის გარანტია, მაშინ ის ამზადებს თავდასხმას და ომსაო.

რათა ამ კითხვას ღირსეულად უპასუხოთ, საჭიროა წარსულს გადავხედოთ; ანალიზი გაუკეთოდ განვლილ მოქმედებას და გავიხსენოთ თუ რა ფასი და მნიშვნელობა აქვს რუსეთის მიერ პირობის დადებას და რა პატივსა სცემს კრემლი თავის ხელმონაწერს.

ჩვენ არა ართხელ აღვნიშნეთ და მრავალი ფაქტიც მოვიყვახეთ იმის დასამტკიცებლად, რომ საბჭოთა კავშირად წოდებული რუსული იმპერია, განსაკუთრებით სტალინის სიკვდილის შემდეგ, განიცდის მწვავე კრიზის. უპირველეს ყოვლისა ის დარჩა უმეთაუროდ და განიცდის დიქტატორის ნაკლულოვანებით გამოწვეულ პიროვნების კრიზისს. აქედან არის წარმოშობილი პოლიტიკური კრიზისი, რომელსაც ზედ ერთვის და ართულებს რუსეთის მიერ დაპყრობილ არა რუს ერებთან ურთიერთობის გამწვავება რუსული ნაციონალიზმის და იმპერიალისტური ზრახვების დაუფარავად გამოვლინების გამო. ეკონომიურ კრიზისსაც კრემლი თავს ველარ აღწევს და მოკლე ხანში თუ რამე არ გამოიცვალა, ის თავის ბუნებრივ შედეგებს მოგვცემს. აი ფაქტორები, რომლებმაც რუსეთის დღევანდელი ხელმძღვანელობა აიძულა „ღიმილის“ პოლიტიკა მიეღოთ და სტალინის მრისხანება თავაზიანობით შეეცვალათ უცხოეთის მიმართ. მაგრამ ამით მიზანი არ გამოცვლილა. არც კომინფორმი დაუშლიათ, არც თავიანთ უცხოელ საგენტოებს შეუწყვიტეს სუბსიდიები და არც მეხუთე კოლონებზე უთქვამთ უარი.

რუსეთს ამგვარი თავდაუსხმელობის პაქტი ჰქონდა თითქმის ყველა ქვეყანასთან; პოლონეთთან, ჩეხო-სლოვაკიასთან, ფინეთთან, ჩან-კაი-შეკის ჩინეთთან, საქართველოსთან და სხ. მაგრამ ყველა მაგალითი ამტკიცებს, რომ სადაც რუსეთი თავდაუსხმელობის და მეგობრობის პაქტით მივიდა, ის ქვეყანა ყველაზე უწინ შეიქმნა რუსული აგრასიის მსხვერპლი. თუ ამ მჭერმეტყველურ ფაქტებს ყოველ დღე არ აჟღარუნებს თავისუფალი დემოკრატიული მსოფლიოს მეთაურობა, სრულებითაც იმას არ ნიშნავს, რომ იგი დავიწყებულია და პრაქტიკულ პოლიტიკაში უყურადღებოდ მიტოვებული. მეორე მნიშვნელოვანი მოვლენა, რაც რუსეთის აგრასიას კბილს უჭრის და საფრთხეში აყენებს მის მისწრაფებებს, არის დასავლეთის თავდაცვის ორგანიზაცია, ე.წ. ატლანტიური პაქტი. ამ ორგანიზაციას თავიდანვე თან აჰყვა რუსეთის ოპოზიცია და ხშირად მუქარაც. ამის საკონკურენტოდ შეჰქმნა მან ე.წ. ვარშავის ბლოკი. მაგრამ ვერც ამან მოახდინა კრემლის მიერ ნავარაუდევი ეფექტი და რუსულმა დიპლომატიამ განიზრახა „მეგობრობისა და თავდაუსხმელობის“ პაქტის შეთავაზებით დაერღვია ატლანტიური პაქტის ორგანიზაციის მთლიანობა და ამგვარად დასავლეთის თავდაცვა შეესუსტებინა. ბერლინის კონფერენციაზე მოლოტოვმა პროვოკაციულად იხმარა: „ევროპა ევროპიელებსო.“ მისი ცდა იყო ატომური იარაღის მფლობელი ამერიკა თავიდან მოეშორებინა და კბილებამდე შეიარაღებული რუსეთი ადვილად მოუვლიდა განიარაღებულ და უორგანიზაციო, მეხუთე კოლონებითა და კომუნისტური პარტიებით მდიდარ ევროპას. მაგრამ ვერც ამან მიაღწია სასურველ შედეგს და დასავლეთის ერთობა დაურღვეველი დარჩა.

იმედ გაცრუებული რუსეთი ყველაზე უკანასკნელად თავის „თავდაუსხმელობის“ პაქტით შ. შტატებს მიადგა კარზე. ვინც შ. შტატების პოლიტიკას ოდნავად მაინც იცნობს, მისთვის წარმოუდგენელი იყო ეფიქრა, რომ პრეზიდენტის პასუხი სხვა იქნებოდა ვიდრე იყო. მსგავს შემთხვევებში შ. შტატები თავის მოკავშირე ქვეყნებს აფრთხილებდნენ, რომ ამგვარი წინადადების მიზანი იყო დასავლეთის ერთობის დარღვევა და კოლექტიური თავდაცვის შესუსტება. ცხადია, შ. შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი ბულგანინის ღიმილისათვის არ გამოცვლიდა თავის შეხედულებას და რუსულ პროვოკაციას არ გაჰყვებოდა. თუ რუსეთს გულწრფელათა სურდა ზავი და მშვიდობიანობა, ისინი არ უარყოფდნენ პრეზიდენტ აიზენჰაუერის წინადადებას, რომელიც მან დააყენა ჟენევაში „ოთხი დიდის“ მეთაურთა კონფერენციაზე. პრეზიდენტის ამ გაბედულობამ რუსული ლიდერობა ჯერ დააბნია და მერე იძულებული გახდნენ ნილაბი ჩამოეხსნათ და უარეყოთ იგი. ამიტომ არის, რომ შ. შტატების „არას“ ბულგანინი და მთელი საბჭოთა პროპაგანდა მოსალოდნელზე მე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტი ლმობიერებით შეხვდნენ.

შ. შტატების პრეზიდენტი, რომელიც მეთაურობდა ევროპის გამანთავისუფლებელ ჯარებს, არ შეიძლება ანგარიშს არ უწევდეს, რომ თანამედროვეობისათვის თავდაცვა არის საქვეყნო, საერთაშორისო ხასიათის საკითხი და არა კუთხური და პროვინციული; ე.ი. შეუძლებელია ამერიკის დაცვა, თუ დაუცველია ევროპა. ისევე როგორც შეუძლებელია ევროპის დაცვა თუ დაუცველია აზია, ან ქვეყნის რომელიმე სხვა მატერიკი. მსოფლიოს რომელიმე კუთხის დაუცველობა თანაბრად ასუსტებს დემოკრატიული ქვეყნების თავდაცვის სისტემას **და საფრთხეში აგდებს** თავისუფალ კაცობრიობას. დემოკრატიული ქვეყნების თავდაცვის განზოგადოების უქონლობით ისარგებლა რუსეთმა და დროა მას ზღვარი დაედოს. რამდენად მეტად განმტკიცდება თავისუფალი ქვეყნების კოლექტიური თავდაცვის სისტემა, იმდენად მეტად შეიბორკება რუსული აგრესია და საფრთხეში ვარდება თვით ამ სიბოროტის არსებობა.

**დ. სინდიკელი**

## საით მიდის მოსკოვი?

უკვე დიდი ხანია, რაც მოსკოვმა თავისი ნამდვილი მიზანი გამოამჟღავნა და მთელი მსოფლიოსათვის ნათელი გახდა, რომ კომუნიზმი და ინტერნაციონალური იდეები რუსული იმპერიალიზმის ახალი სამოსელია, რომელიც მსოფლიო გეგემონიისათვის იღწვის.

ეს შეიგნო თავისუფალმა დემოკრატიულმა კაცობრიობამ და ამ სახიფათო მოვლენის წინაალმდეგ ირაზმება. მოსკოვის მლიქვნელურ პროპაგანდაზე: —ზავი, მშვიდობა და თავისუფლება — დღეს კაცობრიობას მწარედ ეღიმება, რადგან იცის თუ რა მოელის იმ ქვეყანას, რომელიც ამ ანკესზე წამოეგება.

მოსკოვის „თავისუფლების" პრინციპის ძალით გეოგრაფიული რუქიდან უკვე ამოიშალნენ ბალტიის ქვეყნები, უკრაინა, ყაზახისტანი, თურქესტანი, კალმიკები, სომხები, ქართველები, ჩრდ. კავკასიელები და ყველა სხვები, ვისაც მოსკოვმა თავისი „მოწყალება" არ მოაკლო და მიუტანა „ზავი და თავისუფლება". ხოლო პოლონეთი, ჩეხო-სლოვაკია, რუმინეთი, უნგრეთი, ბულგარეთი და სხვა ფაქტიურად რუსეთის მორჩილებაში მოყვანილი ქვეყნები მხოლოდ იმ მოსაზრებით დასტოვეს გეოგრაფიის რუქაზე, რომ გაერთიანებულ ერებში და საერთაშორისო კონფერენციებზე მხარის დამჭერი და ხმის მიმცემები ჰყავდეთ. სხვა მხრივ ეს ე.წ. სატელიტი ქვეყნები ისევე ეწევიან მონობის უღელს, როგორც ჩვენი სამშობლო და მეორე ომამდე დაპყრობილი სხვა ერები.

საბჭოთა კავშირად წოდებულ იმპერიაში ჩამწყვდეულ ერებს ათეული წლების განმავლობაში აჯერებდნენ, რომ „კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარები და მუშები, საბჭოთა კავშირთან ომის შემთხვევაში, აუჯანყდებიან თავიანთ მმართველებს და ზურგში ლახვარს ჩასცემენ კაპიტალისტების ბრჭყალებიდან გასანთავისუფლებლადო".

მეორე მსოფლიო ომის დროს ჩვენ დავინახეთ, რომ გერმანიის ძლიერების ფუძე და ხერხემალი სწორედ მისი მუშათა კლასი იყო, რომელიც შეუპოვრად ეკვეთა ე.წ. საბჭოთა კავშირის მუშასა და პროლეტარს. ხოლო გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ „მსოფლიო პროლეტარიატის მედროშე" რუსეთმა გერმანელი მუშები, ე.ი. თავისი „კლასიური მოკავშირე და მეგობარი" არ დაინდო და მილიონობით გარეკა მონური შრომის ბანაკებისაკენ. ხოლო უფრო გვიან, 1952 წ. ივლისში, სწორედ გერმანელმა მუშამ და პროლეტარმა აღიმაღლა ხმა რუსული ბატონობის წინააღმდეგ და აღ. ბერლინში აჯანყების დროშა ააფრიალა. „მსოფლიო პროლეტარიატის მედროშე" რუსეთმა მათ ტყვიისმფრქვევებით და ტანკებით უპასუხა. ასეთია მოსკოვის „პროლეტარული და კლასიური სოლიდარობა". ამას უწოდებს მოსკოვი თავისუფლებას.

რუსული შოვინიზმის გამოვლინება ჯერ ისევ სტალინის სიცოცხლეში დაიწყო. როდესაც მან დაინახა, რომ კომუნისტური იდეების დაცვას არავინ აპირებდა, ის იძულებული გახდა კომუნისტური და ინტერნაციონალური ნიღაბი ჩამოეხსნა და თავისი ნამდვილი სახე და მიზანი ქვეყნიერებისათვის ეჩვენებინა. მან კომუნისტური სახელმწიფოს ნაცვლად რუსეთის დაცვის საკითხი წამოაყენა. საბჭოთა პროპაგანდა ალაპარაკდა სუვოროვზე, კუტუზოვზე, ალ. ნევსკიზე, მშობლიური მიწაწყლის სიყვარულზე, ეკლესიაზე და ყველაფერ იმაზე, რაც მანამდე სასტიკად იდევნებოდა და რის გამოც მილიონობით ხალხი გაიწყვიტა. ამგვარად, სტალინი უკვე ომის პერიოდში ახდილად დაადგა რუსულ შოვინისტურ თვითმპყრობელურ გზას. რაც შემდეგ ხდება, ეს სტალინის პოლიტიკის ლოღიკური გაგრძელებაა. დღევანდელი საბჭოთა პროპაგანდით რუსის ხალხი, რუსული ენა და ისტორია, რუსული კულტურა, მეცნიერება, ხელოვნება თუ სხვა რომელიმე დარგი, ყველაზე უფრო ძლიერი, უკეთესი და უდიდესი ყოფილა მთელ მსოფლიოში. რუსები უფროსი ძმებიც არიან და წინამძღოლებიც, მრჩეველებიც და მბრძანებლებიც. საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილი ერების არსებობა და განვითარება რუსული ინტერესების მიხედვით ხდება. მოსკოვი ცდილობს არა რუსი ერების წარსული და მომავალი რუსეთის ისტორიას დაუკავშიროს და მხოლოდ ასეთ ასპექტში დასახოს მათი განვითარების შესაძლებლობა. საილუსტრაციოდ, ინტერეს მოკლებული არ იქნება მოვიგონოთ რუს ისტორიკოს **ვიკტორ გოლცოვის** წერილი საბჭოთა ალმანახში **„ხალხთა მეგობრობა"**

გოლცოვი არჩევს ქართველი მწერლის კ. გამსახურდიას რომანს — „დავით აღმაშენებელს" — რომელიც მე 11-12 საუკუნის ეპოქას ეხება და გაკვირვებით ეკითხება ავტორს: „კი, მაგრამ სად არიან რუსები?" გოლცოვი სწერს: „მართალია, ჩვენ არ მოგვეპოვება კონკრეტული ცნობები ამ ხანებში ქართველების და რუსების შეხვედრის შესახებ, მაგრამ განა მწერალს, თუ კი მას ამის სურვილი აქვს, არ შეეძლო რეალური ისტორიის საფუძველზე შეექმნა ნათელი სახეები, თუნდაც არა დოკუმენტალური სიზუსტით, მაგრამ დამაჯერებელი და ლოღიკური?"

აი რა აბსურდამდე მიჰყავს შოვინიზმს რუსი ისტორიკოსები! ისინი ყოველნაირად ცდილობენ, რომ დავით აღმაშენებელის ეპოქა რუსეთის ისტორიას დაუკავშირონ და ჩვენი ქვეყნის ოქროს ხანა თავიანთ დამსახურებად აღიარონ. უნაყოფო ცდაა!

საქართველომ მრავალ დამპყრობელს გაუძლო. მეფის რუსეთი საუკუნეზე მეტ ხანს ჯიჯგნიდა ქართულ სულსა და სხეულს, მაგრამ ამ უთანასწორო და ხანგრძლივი ბრძოლიდან ქართველი ერი გამარჯვებული გამოვიდა და თავისი სახელმწიფოებრივობა აღიდგინა.

ვერც წითელი რუსეთი დააკლებს რამეს დავითისა და თამარის საქართველოს თუ ჩვენც გამოვიჩენთ ჩვენი წინაპრების გამძლეობას და სიმტკიცეს.

**დ. ჩატარა**

## სტალინის მემკვიდრეობა

სტალინმა 30 წელი იბატონა გაცილებით უფრო დიდ სივრცეზე ვიდრე ჩინგის ხანის და თემურ ლენგის იმპერიები იყო. მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე სტალინის იმპერიაში ცხოვრობდა 186 მილიონი მცხოვრები და ტერიტორია შეიცავდა დედა-მიწის ერთ მეექვსედ ნაწილს. ამას მეორე ომის შემდეგ კიდევ მრავალი მილიონი ადამიანი და უზარმაზარი ტერიტორიები მიემატა. ეს თვალუწვდენელი სივრცე დასახლებულია ჯანსაღი, მშრომელი ხალხით და ქვეყანა მდიდარია ყველაფრით: უკრაინის პური, ნახშირი და მარგანეცი; კავკასიის ნავთი, მარგანეცი და სხვა მადნეულობა; ურალისა და ციმბირის არაჩვეულებრივი სიმდიდრეები, ტყეები; ცენტრალური რუსეთის ნოყიერი მიწები, სანაოსნო მდინარეები და გარეშე ქვეყნებთან კავშირისათვის საზღვაო გზები. ამ მონაცემებით, გონიერი და ხალხის ინტერესების დამცველი მთავრობა, რა თქმა უნდა, ერთი მესამედი საუკუნის მანძილზე ძალიან ბევრს გააკეთებდა. რა გააკეთა სტალინმა და ვის ინტერესებს ემსახურებოდა ის? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, მოვიგონოთ რამდენი კაცია საბჭოთა კავშირში დასჯილი 1917 წლის რევოლუციის შემდეგ. კომუნისტური ხელისუფლების მიერ დახოცილ ადამიანთა სწორი რიცხვი ჯერ გამოქვეყნებული არ არის, მხოლოდ დაახლოებით შეიძლება ამის ანგარიში. ცნობილია, რომ სამოქალაქო ომმა და შემდეგ კონტრ რევოლუციონერების ლიკვიდაციის კამპანიამ რამდენიმე მილიონი ადამიანი შეიწირა. ცნობილია ისიც, რომ კოლექტივიზაციის განხორციელებას კიდევ მილიონობით ადამიანთა სიცოცხლე დასჭირდა. 1937-38 წლების წმენდებმაც მილიონები შეიწირა. ამას მიუმატოთ საქართველოში აჯანყებების გამო დახოცილთა რიცხვი და სხვა და სხვა სახის „უკლონების" გამო მთელ საბჭოთა კავშირში დასჯილთა რაოდენობა. სტალინის წაქეზებით დაწყებულ მეორე მსოფლიო ომში, თვით საბჭოთა მთავრობის ოფიციალური ცნობით საბჭოთა კავშირმა დაკარგა 15 მილიონი ადამიანი. დაუშვათ რომ ეს რიცხვი გადაჭარბებულია და მხოლოდ ნახევარია მართალი. ამას მიუმატოთ საკონცენტრაციო ბანაკებში დაღუპულთა და დღესაც იქ ცოცხლად ტანჯულთა რაოდენობა და დავინახავთ, რომ სტალინის ბატონობის ხანაში დახოცილთა და გაუბედურებულთა რიცხვი რამდენიმე ათეულ მილიონს აღწევს.

ვის და რას შესწირა სტალინმა ამდენი ადამიანის სიცოცხლე? სახელმწიფოს მართველობის, პოლიტიკური მეთაურობის მთავარი მიზანი ქვეყნის და ხალხის ცხოვრების ორგანიზაციაა. ყოველი სახელმწიფოს მეთაურის უმთავრესი მოვალეობა ხალხზე ზრუნვაა, ხალხის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება და ადამიანთა ურთიერთობის ისეთი მოწესრიგება, რომ მოსახლეობის უმეტესობას საცხოვრებელი პირობები უზრუნველყოფილი ჰქონდეს. სახელმწიფო თავისი კანონებით, სასამართლოთი, ადმინისტრაციით, ჯარით და სხვა და სხვა დაწესებულებებით იცავს კერძო პირთა, აძ ქვეყნის მოქალაქეთა ინტერესებს და კეთილდღეობას. ეს არის სახელმწიფოს ფუნქცია და პოლიტიკის მეთაურები ამ მიზანს ემსახურებიან. რა მიზანს ემსახურებოდა სტალინი, ხალხის უმეტესობის კეთილდღეობას? ამის თქმა შეუძლებელია. დღევანდელი საბჭოთა კავშირის 200 მილიონიანი მოსახლეობიდან კომუნისტურ პარტიაში მხოლოდ 6 მილიონამდე წევრია, რაც წარმოადგენს მოსახლეობის 3%. ამ 6 მილიონი კაციდან შეიძლება მხოლოდ ნახევარი იყოს მართლაც იდეურად კომუნისტი. დანარჩენები სამსახურის და სხვა და სხვა პრივილეგიების მისაღებად არის პარტიაში ჩაწერილი. მაგრამ დაუშვათ, რომ ყველა ესენი იდეური კომუნისტები არიან. განა შეიძლება ითქვას, რომ ცხოვრების პირობებით ისინი დაკმაყოფილებული არიან? ვისაც საბჭოთა კავშირში უცხოვრია, იცის რომ არა. კომუნისტებს საბჭოთა კავშირში ორგვარი პასუხისმგებლობა აწევთ: ისინი უპარტიო მასსას ეზიზღება და მხოლოდ ხელსაყრელ მომენტ ელის მათ ჩასაქავებლად. ეს ყველა კომუნისტმა მშვენივრად იცის და ამიტომ დღე და ღამე ფხიზლობს თავისი ტყავის დასაცავად. მეორეს მხრივ, ისინი პასუხისმგებლები არიან მთავრობისა და პარტიის, ე.ი. მოსკოვის წინაშე. მოსკოვის ინსტრუქციების ცუდად გაგებისა და შესრულებისათვის, პასუხს პირველ რიგში მათ სთხოვენ. მოსკოვის წინაშე პასუხისმგებლობის აღება, როგორც არა ერთმა შემთხვევამ გვაჩვენა, მეტად სახიფათო საქმეა. მოსკოვიდან ყოველ წუთს შეიძლება ბრძანება მოვიდეს ამა თუ იმ პარტიულის დაპატიმრების შესახებ. ამიტომ კომპარტიის ყოველ პასუხისმგებელ წევრს, „ენკავედეს" შიში მოსვენებას არ აძლევს. მაშ ვინ გააბედნიერა სტალინმა და ვინ იყო მისი პოლიტიკით კმაყოფილი? ვიზე ეყრდნობოდა მისი რეჟიმი?

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მისი საშინაო პოლიტიკით კმაყოფილთა რიცხვი მოსახლეობის ძალიან მცირე პროცენტს შეადგენს, მაგრამ სამაგიეროდ საგარეო პოლიტიკის შედეგებით მან მაქსიმალურად დააკმაყოფილა საბჭოთა კავშირის მოსახლეობის ერთი ნახევარი და ამით მათი გული დიდი ხნით მოიგო. მან დააკმაყოფილა რუსული ნაციონალისტური და იმპერიალისტური ამბიციები და რუსეთს დაუმორჩილა ისეთი ქვეყნები და ტერიტორიები, რომელთა დაპყრობას რუსეთი უკვე ოთხასი წელია ცდილობდა. წყნარ ოკეანეზე და ბალტიისა და შავ ზღვაზე გამაგრება და აღ. ევროპის სლავიანური ქვეყნების რუსეთისათვის დამორჩილება, უკვე დიდი ხნის ოცნება იყო რუს იმპერიალისტთათვის. სტალინმა მათ ეს ოცნება შეუსრულა. ამ მოვლენას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთში სტალინის რეჟიმის სტაბილიზაციისათვის. იმპერიის ასეთი ზრდით მოხიბლული რუსული ინტელიგენცია ადვილად შეურიგდა რეჟიმს და საშინაო პოლიტიკით უკმაყოფილება გულში ჩაიკლა. ამით აიხსნება, რომ ეთნიური რუსეთის ტერიტორიაზე სტალინის წინააღმდეგ არც ერთი აჯანყება არ მომხდარა. ამით აიხსნება ისიც, რომ სტალინის საშინაო პოლიტიკის მოწინააღმდეგე და კომუნიზმის უარისმყოფელი რუსული ემიგრაცია სტალინის მიერ შექმნილი იმპერიის ტერიტორიის მთლიანობას გააფთრებით იცავს. ამ საკითხში ყველა რუსს ერთი პირი აქვს. წითელ და თეთრ რუსეთს აერთებს აგრეთვე სიამაყე რუსეთის მოწინავე ინდუსტიის ქვეყნად და დიდ სამხედრო ძლიერებად გადაქცევისა.

სტალინმა ეს იცოდა. მან იცოდა, რომ მისი საყრდნობი მხოლოდ რუსობა იყო, ამიტომ ყველაფერი ჰქნა, რომ რუსეთში პოპულარული და საყვარელი გმირი გამხდარიყო. ამ მიზნით მისი საკუთარი გაზეთები მის სახელს დღეში ასჯერ ახსენებდენ. მოსკოვის პრესამ და საპროპაგანდო ორგანოებმა ის ნახევარღმერთად დასახეს. გაიმართა ნამდვილი შეჯიბრი ფანტასტიური ეპიტეტების და ტიტულების ძიებაში. რაც უფრო ყალბი და შეუსაბამო იყო შედარება, იმდენად მეტი მოწონება ჰქონდა. ასე გაგრძელდა 30 წელიწადი. მაგრამ პატივ მოყვარეობით დაბრმავებულ დიქტატორს მხედველობიდან გამორჩა, რომ მხოლოდ რუსული იმპერიალისტური ამბიციების დაკმაყოფილებით მრავალი დაპყრობილი ერებისაგან შეკოწიწებულ იმპერიაში ის საყვარელი გმირი ვერ გახდებოდა. ცხოვრების ლოღიკამ თავისი გაიტანა და 30 წლის პროპაგანდამ უქმად ჩაიარა.

კომპარტიის მე-20 ყრილობაზე გუშინდელი დიდი ბატონი, სიცოცხლეში შეუმცდარად მიჩნეული ქურუმი პირქვე დაამხეს!

„დრონი მეფობენ და არა მეფენი"ო, უთქვამს სულმნათ შ. რუსთაველს და ეს სიბრძნე ალბათ ყველა ქართველს მოაგონდა, როცა მოსკოვში სტალინის კრიტიკა გაისმა. საინტერესოა, რომ პირველი ტყვია სტალინს მიქოიანმა ესროლა. იმ მიქოიანმა რომელიც სიცოცხლეში ფინიასავით კუდის ქიცინით თვალებში შეყურებდა და ჩექმებს ულოკავდა. ბულგანინი, ხრუშჩოვი, ვოროშილოვი და სხვებიც იმავე კატეგორიას ეკუთვნოდენ. დღეს ისინი უსირცხვილოდ აცხადებენ, რომ 30 წ. მცდარ გზაზე მდგარან და თურმე სტალინი სცდებოდა! სად იყვნენ აქამდე, რატომ ელაქუცებოდნენ სტალინს? განა დღე და ღამ მასთან მყოფებს არ შეეძლოთ მისი ფიზიკურად მოსპობა? არა. იმიტომ რომ კომუნისტური დოქტრინა ზრდის მხოლოდ სულით ლაჩრებს. ჩვენ კარგად გვახსოვს მოსკოვის პროცესები, სადაც ცნობილი ლიდერები: ზინოვიევი, კამენევი, რიკოვი, ბუხარინი, პიატაკოვი და სხვები ლაჩრულად ტიროდნენ და პატიებას ითხოვდნენ. ბულგანინი, ხრუშჩოვი, ვოროშილოვი, მიქოიანი და სხვებიც ასეთივე „გულადები" არიან, ამიტომ სითამამე მხოლოდ მაშინ მიეცათ როცა სტალინი სამი წლის მკვდარია.

კრემლში ამ ახალი ბატონების დამკვიდრების შედეგად განსაკუთრებით ტრაღიკულ პირობებშია ქართველი ერი. სტალინ-ბერიას ეპოქაში ქართველობა იჟლიტებოდა იმიტომ, რომ მოსკოვში სტალინისადმი ორგულებად სთვლიდნენ — უნდა ითქვას, რომ ამ ბრალდებას ჰქონდა საფუძველი. საქართველომ სტალინის წინააღმდეგ სამი შეიარაღებული აჯანყება მოაწყო. — მაგრამ დღეს ქართველობას სდევნიან იმიტომ, რომ სტალინ-ბერიასადმი ერთგულებას სწამებენ! სინამდვილეში, გუშინაც და დღესაც მოსკოვის რეპრესიების ნამდვილი მიზეზი სულ სხვაა: ქართველი ხალხი იბრძვის მოსკოვის უხეში ბატონობიდან თავის დასაღწევად და ამ ბრძოლის სამართლიანობა მრავალ ქართველ კომუნისტსაც ბრძოლაში ითრევს. აი ამ მებრძოლ, თავისუფლების ერთგულ სულს ებრძოდა სტალინი და ებრძვიან დღეს მისი მემკვიდრეებიც. ამაო შრომაა: ათასი წლობით ნაწრთობ მებრძოლ სულს მოსკოვი ვერას დააკლებს!

**ალ. ცომაია**

## ხრუშჩოვ - ბულგანინი ინდოეთში

მოსკოვის ახალმა პრინცებმა ნერუს მიპატიჟება სიამოვნებით მიიღეს და მრავალ ათას წლოვანი ისტორიის მქონე ქვეყანა მოიარეს. როგორც მოსალოდნელი იყო, ეს მოგზაურობაც მათ საპროპაგანდოთ გამოიყენეს. ინდოეთში და ბირმაში ხრუშჩოვი თავს ესხმის დასავლეთის „იმპერიალისტურ და კოლონიალურ" პოლიტიკას. „წარსულშიო, —განაცხადა ხრუშჩოვმა, — დასავლეთის კოლონიზატორებმა შეაჩერეს თქვენი ქვეყნის ეკონომიური და კულტურული განვითარება. ჩვენ, როგორც ევროპიელები სირცხვილისაგან ვწითლდებით ყველა იმის გამო, რაც ევროპამ თავის კოლონიალური პოლიტიკით ჩაიდინაო". ხოლო ბირმაში საფრანგეთის პრესის წარმომადგენელს უთხრა: „თქვენ უნდა წითლდებოდეთ სირცხვილისაგანო," რაზედაც ენამახვილმა ფრანგმა უპასუხა: „არა, მე მირჩევნია თეთრი დავრჩეო".

ამგვარად, ხრუშჩოვ - ბულგანინი გამოდიან კოლონიალური პოლიტიკის უარმყოფელნი და მოითხოვენ დასავლეთისაგანაც მის უარყოფას. ინგლისურ ენაზე არსებობს შესანიშნავი ტერმინი: „სელფ დეტერმინეიშენ", რომელიც მოითხოვს ხელი შეუწყონ ეროვნულად ჩამორჩენილი ქვეყნების განვითარებას და ძათ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებელ არსებობას. ჩვენ, როგორც დაპყრობილი და სწორედ ხრუშჩოვ - ბულგანინის მიერ მონის ხუნდებით დაჯაჭვული ერის შვილები, მივესალმებით ყველა ერის ლტოლვას თავისუფლებისაკენ და ამ ადამიანის ამამაღლებელ მოძრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობას დიდის ყურადღებით და სიმპატიით ვეკიდებით. მაგრამ ხრუშჩოვის პრინციპით თავისუფალია მხოლოდ ის ერი, რომელიც მოსკოვს მონობს და მორჩილობს, ხოლო ამერიკული „სელფ დეტერმინეიშენ“-ი კი გულისხმობს მხოლოდ იმგვარ თავისუფლებას, როდესაც ერი თავისი თავის უფალია და თავის ეროვნულ ცხოვრებას ისე აწყობს, როგორც მის კულტურულ გაგებას, ტრადიციებს და ისტორიას შეეფერება და მის ეროვნულ ინტერესებს მოუხდება.

ამერიკული „თვითგამორკვევის“ პრინციპი ცდილობს არა მარტო უკვე არსებულ ეროვნულ სახელმწიფოთა განმტკიცებას, არამედ ეროვნული შეგნების ნაკლულოვან ტომებში მის განვითარებას, რომ მათ შესძლონ საკუთარი სახელმწიფოს შექმნა და თავისი ეროვნული ცხოვრების თავისუფლად, დამოუკიდებლად წარმართვა. ხოლო ხრუშჩოვის „თავისუფლების“ პრინციპი სპობს, ანადგურებს და მოსკოვს უმორჩილებს ისეთ კულტურულ და დაწინაურებული ერების სახელმწიფოებს, როგორიც არის ჩეხო-სლოვაკია, პოლონეთი, ბულგარეთი, უნგრეთი, საქართველო და სხვები. სად არიან და რა მოუვიდათ ბალტიის ქვეყნებს? ან იქნებ ტამბოვის, რიაზანის და კურსკის გუბერნიებმა როდისმე დაუმტკიცეს თავიანთი კულტურული უპირატესობა პრაგას, სოფიას, თბილისს ან ვარშავას? ერთხელ სტოლიპინმაც მოინდომა „დუმაში“ თავისი ხალხის უპირატესობის დამტკიცება, რაზედაც განსვენებულმა კარლო ჩხეიძემ უპასუხა: „როცა თქვენი წინაპრები ტყეში დარბოდნენ, ჩემი წინაპრები სახარებას თარგმნიდნენო“. ქართული ანდაზა ამბობს: „შინ რომ ბავშვსა შიოდეს, გარედ ტაბლას რა უნდაო.“ ხრუშჩოვ-ბულგანინმა თავიანთ სამფლობელოში მოგვცენ მაგალითი, ჯერ იქ აუშვან დაბმული ერები, აღადგინონ მათ მიერ დაპყრობილი ერების ეროვნულ - სახელმწიფოებრივი ცხოვრება, „ანთავისუფლონ მონები“ და მერე გადაიცვან ხალხთა და ერთა განმათავისუფლებელის მანტია. მაგრამ მოსკოვის ბატონებს სქელი კანი აქვთ და უაზროა მათი მტკიცება, თითქოს „სირცხვილისაგან წითლდებიან“.

ჩვენ მათ დიდი ხანია ვიცნობთ და არავითარი კადნიერება აღარ გვაკვირვებს. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ ამ უსინიდისო მატყუარების პროპაგანდას ვილაცები იჯერებენ და კომუნისტურ ბადეში ებმებიან, ხოლო დემოკრატია ამას ითმენს და პასიურად იტანს.

**დონი**

## აბრამ ლინკოლნი

აბრამ ლინკოლნი დაიბადა თებერვლის 12ს 1809 წელს ცენტრალურ კენტუკიში. ის ჩამომავალია სამუელ ლინკოლნისა, რომელიც გადმოსახლდა ინგლისიდან 1637 წ. ლინკოლნები სხვა და სხვა დროს ცხოვრობდნენ: მასაჩუსეტში, ნიუ ჯერსიში, პენსილვანიაში და ვირჯინიაში. ერთი მისი წინაპარი, რომელსაც ერქვა აბრამი, გადასახლდა დასავლეთისაკენ, გადასჭრა კენტუკის მთები და დასახლდა ჰარდინში. იქ მისმა შვილმა თომასმა შეირთო ნანსი ჰანკს, რომლებისგანაც იშვა შ. შტატების მე-16-ე და საამაყო პრეზიდენტი.

ა. ლინკოლნი იყო შვიდი წლის, როცა მისი ოჯახი გადასახლდა კენტუკიდან ინდიანაში. პირველი ზამთარი გაატარეს ბარაკში, რომელსაც მხოლოდ სამი მხრიდან ჰქონდა კედელი, ხოლო სამხრეთით ღიად იყო დარჩენილი ფიცარის უქონლობის გამო.

ინდიანაში, ისევე როგორც ილინოიში, სადაც ლინკოლნის ოჯახს სულ მალე მოუხდა გადასახლება, არის კონტინენტალური კლიმატი, ე. ი. დიდი სიცხეები ზაფხულში და საშინელი სიცივეები ზამთარში. „მე დარწმუნებული ვარ — უთქვამს ერთ უადრეს ემიგრანტს — ამ მიწაზე ხალხი უფრო ადრე დასახლდა, ვიდრე ღმერთს უნდოდაო“. ჩვენში რომ იტყვიან: „ამ საქმეში ღმერთი არ ურევიაო“, სწორედ ამის შესატყვისია. კლიმატს ძალიან ძნელად იტანდნენ ემიგრანტები.

ტომას ლინკოლნი, აბრამის მამა, ხელობით დურგალი იყო, მაგრამ უმთავრესად მისდევდა ფარმერობას. არც პირველი და არც მეორე ხელობით არაფერი გამოდიოდა და იყო მუდმივ ახალის ძიებაში და ცხოვრობდა აუტანელ გაჭირვებაში. 1818 წელს გარდაიცვალა ლინკოლნის დედა, როცა ის იყო მხოლოდ ცხრა წლის ყმაწვილი. ერთი წლის შემდეგ ტომას ლინკოლნი ხელმეორედ დაქორწილდა და შეირთო სარა ჯონსტონი, ქვრივი, სამი შვილის დედა. სარას მცირედი მზითევიც მოუტანია და ლინკოლნის ოჯახში მცირედი ცვილილებაც შეუტანია. მაგ. ოთახისათვის ფანჯარა გაუკეთებია. დედინაცვალს ცხრა წლის აბრამი საკუთარ შვილივით შეუყვარებია და მას დიდათ შეუწყვია ხელი ბავშვის განვითარებისათვის. ლინკოლნის ბიძაშვილის ცნობით ტომას ლინკოლნი ძალიან წინააღდეგი ყოფილა წიგნის და ერთხელ კიდეც უთქვამს: „ვფიქრობ, ეიბი კიდევ სულელობს თავისი თავის განვითარებით. ბევრი ვეცადე, მაგრამ მას თავში ჩაუჯდა ეს სულელური იდეა და ვეღარ იქნა იმის იქიდან განდევნა“ო.

მართალია ლინკოლნის დროს და ლინკოლნის პირობებში „ჩიტის რძე“ უფრო ადვილი საშოვი იყო ვიდრე წიგნი, მაგრამ საბედნიეროდ პატარა აბრამისათვის სწორედ ის წიგნები აღმოჩნდა ხელმისაწვდომი, რომლებიც საჭირო იყო მისი თვით განვითარებისათვის. ეს იყო: ბიბლია, რობინზონ კრუზო, ეზოპის იგავ-არაკები, პაიკის არითმეტიკა, გრიმშოს შეერთებული შტატების ისტორია, სკოტის მეტყველების ხელოვნების გაკვეთილები და გ. ვაშინგტონის ცხოვრება. უფრო გვიან, ბედნიერი შემთხვევის გამო ხელ ჩაუგდია ბლექსტაუნის „ინგლისის კანონების კომენტარია“, რომელიც იმ დროს ღვთაებრივ წიგნად ითვლებოდა ყოველი ახალგაზრდა ამერიკელისათვის, ვისაც სამართლის შესწავლა სწადდა*.

ამ ბედნიერმა შემთხვევამ, ნაწილობრივ მაინც ერთგვარი როლი ითამაშა ლინკოლნის კარიერაში.

ლინკოლნის ერთ მეზობელს გადაეწყვიტა დასავლეთისაკენ გადასახლება და ურემზე არ დაეტია ერთი კასრი და ლინკოლნს შესთავაზა ეყიდა ნახევარ დოლარად, თან დაამატა: შიგ საინტერესო არაფერია და შეგიძლია გადაყაროო. აბრამმა ეს კასრი მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ გამოწმინდა და აღმოაჩინა „ძვირფასი განძი“. „მაშინ შეუდექი ამ ძვირფასი შრომის კითხვას და არასოდეს ჩემი გონება ისე მთლიანად არა ყოფილა მიცემული კითხვას, როგორც ამ ნაშრომს მიეძღვნა. მე ვკითხულობდი განუწყვეტლივ ვიდრე მთლიანად არ დავეუფლე“ო.

ეს მოხდა იმ დროს, როდესაც ლინკოლნის ოჯახი ინდიანიდან ილინოისში გადასახლდა და თვით აბრამი სრულწლოვანი გახდა. ამ დროს აბრამმა მოინდომა დამოუკიდებელი ცხოვრება. დაშორდა მამას და დასახლდა ნიუ სალემში, სპრინგფილდიდან 20 მაილის მოშორებით. ამ დროს (1831 წ.) ნიუ სალემში და თვით ჩიკაგოშიც რამდენიმე ასეული მოსახლე იყო და ლინკოლნი მეტად მოწყენილ და ერთფეროვან ცხოვრებას ეწეოდა. მუშაობდა სხვა და სხვა დარგში: იყო დუქნის ბიჭი, შემდეგ ფოსტალიონი, მიწის მზომელის მოადგილე ან დამხმარე და სხვ.

ნიუ სალემში მოხდა აბრამის ხასიათისა და ბუნების ჩამოყალიბება. დადგა მძიმე, მოუქნელი ახალგაზრდა კაცი, რომელსაც არ უყვარდა სმა და ძალიან ნაკლებად იზიდავდა ქალების საზოგადოება. მაგრამ მას უყვარდა კაცების საზოგადოება, რომლებსაც ხვდებოდა სოფლის დუქანში, ან სასამართლოს შენობაში. როდესაც ის არ იყო დაკავებული კითხვით, ან წაკითხულზე ფიქრით, რაც ძალიან დიდ დროს ართმევდა, ან „ლუკმა პურის“ ძიებით, მაშინ აბრამი ბჭობდა „მეგობრებში“ პოლიტიკაზე, ან მსჯელობდა ფილოსოფიაზე, ბიბლიაზე, ადგილობრივ ლეგენდებზე და ისტორიულ-მითიურ ზღაპრებზე. წარმტაცად მოლაპარაკეს ხალხი დიდ ხანს და ინტერესით უსმენდა.

მას უყვარდა მარტოობა და იყო უაღრესად მორცხვი. ძალიან უყვარდა პირუტყვები. მაგ. პირველ ნადირობაზე, პირველი გასროლით მოჰკლა გარეული ინდაური და ამის შემდეგ ვერავითარი მუდარით ის ვეღარ წაიყვანეს სანადიროდ.

ბილ ჰერდონის მოწმობით, აბრამ ლინკოლნს გამდიდრების არავითარი სურვილი არ ჰქონია. „მან სრულებით არ იცოდა ფულის მნიშვნელობა და სიმდიდრეს უყურებდა როგორც ზედმეტ ბარგს“ო. ამავე დროს ლინკოლნი ითვლებოდა გმირად და ნიუ სალემის ყველაზე გაბედული ბიჭებიც-კი მეტად თავაზიანად ექცეოდნენ. როცა ნიუ სალემს ინდოელების წინააღმდეგ მოუხდა „ლაშქრობა“ აბრამი ერთხმად იქმნა არჩეული კაპიტნად. ხოლო როდესაც მან პირველად დაიდგა ყუთი შტატის საკანონმდებლო ორგანოში ასარჩევად, ნიუ სალემის 404 მოსახლიდან 277 ხმა მიიღო. ამგვარი იყო ნდობა და დაფასება ახალგაზრდა აბრამისა თავისი მეზობლების მიერ.

**არ. დონაური**

(გაგრძელება იქნება)

* იხ. ჰერბერტ ავარის „აბრამ ლინკოლნი“.

## საბჭოთა საქართველოში

საბჭოთა გაზეთებიდან საზღვარ გარედ მხოლოდ მოსკოვის გაზეთების „პრავდა“ და „იზვესტიას“ შოვნა შეიძლება სისტემატიურად. პროვინციების გაზეთები-კი, —თუმცა დიდად არ განსხვავდებიან მოსკოვის გაზეთებისაგან — იშვიათად აღწევს უცხოეთს. თბილისის „კომუნისტს“ ზოგჯერ წლობით არ უშვებენ. იმავე მდგომარეობაშია ერევნის, ბაქოს, ტაშკენტის და სხვა არა რუსი ერების გაზეთები. ამიტომ კომუნისტური ქართული პრესის სისტემატიური ანალიზი აქ ჩვენთვის შეუძლებელი ხდება. ვეხებით იმ გაზეთებს, რომლებიც ხელთ ჩაგვივარდა. ზოგი მათგანი შარშანდელია, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ჩვენი მკითხველებისათვის მაინც საინტერესო იქნება, რადგან ეს ცნობები ნაწილობრივ მაინც იძლევა ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრების სურათს.

### I. საბჭოთა ვაჭრობა.

საბჭოთა საქართველოში, ისე როგორც საერთოდ კომუნისტურ სამოთხეში, მთელი ვაჭრობა სახელმწიფოს ხელშია. ამიტომ არ არსებობს კონკურენცია. რაც უნდა ცუდი ხარისხის იყოს საქონელი, დამშეული და ტანისამოს შემოხეული საბჭოთა მოქალაქე იძულებულია ამ ცუდი ხარისხის საქონლით დაკმა-

## „მგელი და კრავი“

**მოგონებათა რვეულიდან — დიალოგი რუს და ქართველ ნაციონალისტთა შორის**

— დათა, დღეს ჩემთან სადილობს ერთი რუსი მონარქისტი პოლკოვნიკი, ტოლერ-პომორსკი, ჩამოსული პარიზიდან. აქ სტამბოლში იგი წარმომადგენელია რუსეთის დიდი მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძისა. ჩემი ცოლის ნათესავიცაა. სურს შენი გაცნობა და თუ წინააღმდეგი არა ხარ გთხოვ სადილად შენც მობძანდე — პერას გამზირზე შეხვედრისას მითხრა ჩემმა თანამემამულემ დიმიტრი აფხაზმა.* —რაკი ასეთი ქართველი მპატიჟობს რუს მონარქისტთან საკამპანიოთ, უარს ვერ ვიტყვი. ამასთანავე იქნებ გავიგო თუ რას ფიქრობენ ჩვენზე, ქართველებზე, დღეს რუსი მონარქისტები. ბაშუსტა ჩემო დიმა. გმადლობ. გეახლები —უპასუხე სტუმართმოყვარე აფხაზს.

დანიშნულ საათს უკვე შევდიოდი აფხაზის ბინის ლამაზად მორთულ „ინგლისურ ჰოლში“. დამხვდნენ ორივენი — დიმიტრი და მისი სტუმარი, 35 წლის კაცი, გერმანული იერისა. მოღიმარე სახით მან გამომიწოდა ხელი და სთქვა: რუსი ნაციონალისტი, პოლკოვნიკი ტოლერ პომორსკი, ყოფილი საპიორი. ჩამოვართვი რა ხელი მეც მიუგე: ქართველი ნაციონალისტი, პოლკოვნიკი ვაჩნაძე, ყოფილი საპიორი. სამივემ გადავიხარხარეთ ამ იშვიათი შემთხვევის გამო.

დაწყება კარგია. ვნახოთ რითი გათავდება „სეხნიების“ შეხვედრა კაი რუსული ვოდკის და ქართული ნაფარეულის შემდეგ. აბა წამობრძანდით. თუმცა დიასახლისი შინ არა მყავს მაგრამ გაშლილი სუფრა კიდეც გველოდება. გვითხრა მასპინძელმა და შეგვიპატიჟა სასადილო ოთახში. „ვოდკამ და სელიოდკამ“ ჩემი რუსი სეხნია მალე კარგ გუნებაზე დააყენა.

— რატომ არ სვამთ ვოდკას? იმიტომ რომ მაგარია, თუ იმიტომ რომ რუსულია? შემომიტია ღიმილით ტოლერმა.

— იმიტომ რომ კახურსა ვსვამ. საკმაო მაგარიც არის და საკუთარი ქართულიც — უპასუხე მე. —აი, ნამდვილი ქართული ნაციონალიზმი! მხოლოდ „საკუთარი“ „ქართული“.. ხა, ხა, ხა!... ჩვენ რუსებს-კი გვიყვარს ჩვენიც და სხვისიც... ხა, ხა! მართალი არა ვარ დიმა? და ტოლერმა თვალი უყო მასპინძელს.

—პოლიტიკაში არ ვერევი, ღიმილით უპასუხა დიმიტრიმ, მაგრამ მირჩევნია ნაფარეული, და გადაჰკრა ღვინით სავსე ჭიქა.

—თქვენ ვითომდა ხუმრობთ, მაგრამ სრული ჭეშმარიტება ბრძანეთ. უფრო და ძალიან სხვისი გიყვართ. გადაუკარი მეც უკვე შეზარხოშებულ რუს მონარქისტს.

—ბოლშევიკებივით, არა? გალიზიანების კილოთი მომიგო მან. —ჰო, ჰო, ბოლშევიკები ხომ თქვენი შეგირდები არიან!

—მართალია, მართალია, ჩვენც იმპერიალისტები ვართ, ისინიც. მხოლოდ რეჟიმის საკითხი გვაშორებს ერთმანეთს... მეტი არაფერი... გულახდილად მაჯერებდა რუსეთის მეფეთა და მთავართა ერთგული მხედარი. გადავხედე აფხაზს. მან დაავლო ხელი ბოთლს და დასხმის დროს ქართულად გადმომკრა: ვოდკამ ასე იცის... რუსული იმპერია ვოდკაზეა აშენებული!

ყველაფრით უხვი სადილი ძლივს მოვათავეთ. მასპინძელმა გადაგვიყვანა მეორე ოთახში, მისი თქმით, „აქაურ ახალ სუფრაზე“ ყავითა და ლიკიორებით. ჩავსხედით ღრმა სავარძლებში და გავაბოლეთ განთქმული თურქული თამბაქო. რუსი სტუმარი არ ისვენებდა თავის სავარძელში. სულ ტრიალებდა. სჩანს გამოწვევაზე იყო მომართული. და მართლაც, ცოტა ხნის შემდეგ უცბად მოგვიწოდა:

—ნება მიბოძეთ ძვირფასო ქართველებო გავიმარტოთ რუსეთის ისტორიის ბუნების სინამდვილე. წინასწარად გთხოვთ: ვილაპარაკებ გულახდილად და არ გეწყინოთ. —სთქვა მან და გადიყუდა ერთი ზორბა ჭიქა ბენედიქტინისა. ბრძანეთ, ბრძანეთ, შევაგულიანეთ ორივემ. —მაშ მოგახსენებთ... ჩვენ, რუსებს გვიყვარს ქართველები. ვაფასებთ მათ ნიჭს, რაინდულ ხასიათს, ადათებს. ამიტომაა რომ მეფის კარიდან მოყოლებული, მრავალ ქართველს უდიდესი სამოსამსახურო დაგილი ეჭირა ჩვენს იმპერიაში. პიროვნულად ვენდობოდით და ვენდობით. ამით თავდება ჩვენი ურთიერთობა ქართველებთან. პოლოტიკურად მათ არ ვიცნობთ, რადგან საქართველო ჩვენთვის არ არსებობს. იგი ითვლება სამუდამო ნაწილად რუსეთისა თავისი ხალხით, მიწა-წყლით, ქონებით. თქვენ დამეკითხებით, რომელ სამართლის წესით უგებთ ანდერძს ჩვენს ძველ ქვეყანას და ხალხსო? გიპასუხებთ: როგორც ცხოვრების სხვა და სხვა დარგში, ხალხთა შორის დამოკიდებულებაც ეყრდნობა ბუნების კანონებს. რუსი ხალხი მეტად გამრავლდა. მისი მთავარი საბინადრო, აღმ. ევროპის ჩრდილო ნაწილი ნამეტანი ღარიბია ბუნებით. გამრავლებული და მოღონიერებული რუსი ხალხი ბუნებრივად იწევს ყველაფრით მდიდარ მახლობელ სამხრეთ ქვეყნებისაკენ. თბილ ზღვებისაკენ. დიდი ისტორიულ ერის ზრდას ესაჭიროება დიდი განიც და დიდი ისტორიული გზებიც. ასეთი გზა სამხრეთისაკენ საქართველოზე გადის. ამიტომ საქართველოს პოლიტიკურ თავისუფლებისათვის ბრძოლა, — ტყუილი ოცნებაა. თქვენ, ალბათ ზეპირად გეხსომებათ კრილოვის იგავ-არაკი: „მგელი და კრავი“, როცა მგელი უთვლის უდანაშაულო კრავს: „შენ დამნაშავე ხარ იმიტომ, რომ შენი შეჭმა მსურსო“. ასეთივეა პოლიტიკური დამოკიდებულება რუსეთ - საქართველოსი. ეს მწარე სიმართლეა. მაგრამ რას იზამთ? იგი ნამდვილი და ნაღდი ჭეშმარიტებაა!

—აქ ტოლერმა კიდევ მოიყუდა სასმელი, დაცალა და ცერად შემომხედა.

ვუსმენდი ამ გულღია რუსს და თან ვფიქრობდი: რაღა პასუხი უნდა გასცეს საწყალმა ქართველმა კრავმა მუდამ დამშეულ რუს მგელს? რა საბუთი გადაარწმუნებს მას გარდა იმავე „ბუნების კანონისა“?

—პატივცემულო რუს მონარქისტო, თუ ასეა გადაწყვეტილი თქვენს ბანაკში, რომ მგელმა რუსეთმა კრავი საქართველო უსათუოდ უნდა შეჭამოს, მაშინ იმის ნება მაინც გვიბოძეთ, როცა გვყლაპავთ ჩვენი ფეხები აქეთ-იქით გავიქნიოთ. ესეც ხომ ბუნებრივია! ვუპასუხე დიდი მთავრის ელჩს მის „საპროგრამო“ სიტყვაზე. —ჩემო უღონო კრავო, რას გიშველით ფეხების ფართხუნი, —სიცილით მიპასუხა ტოლერმა.

—ჩემო ძლიერო მგელო, იყავით ფრთხილად. არის შემთხვევა, როცა მსუნაგი მგელი იხრჩობა კრავის ფეხის ძვლისაგან.

— მოსწრებული პასუხია, მაგრამ ნაკლებად რეალური ძვირფასო ქართველო ნაციონალისტო. —ამის გადაჭრა თქვენ „ბუნების კანონებს“ მივანდოთ, ძვირფასო სტუმარო. ამინ! შემოგვძახა ახლა „პოლიტიკის გარეშე“ მდგომმა დიმ. აფხაზმა. ვინ ვის შეჭამს ან დაახრჩობს ხვალ არ ვიცი, მაგრამ დღეს რომ შემჭამეთ და გამათავეთ, ეს-კი ცხადია! დაათავა ქართული ოხუნჯობით რუს-ქართულ ნაციონალიზმის ძველი დავა ჩვენმა მასპინძელმა.

მალე დავიხურეთ ქუდები და გავედით ქუჩაში. გამოთხოვებისას ტოლერმა მკითხა: პარიზში მიბრძანდებით? —დიახ, უპასუხე. — ალბათ იქ კვლავ შევხვდებით... ნახვამდის!— სთქვა მან და ახტა მიმავალ ტრამვაის ვაგონში.

**დავით ვაჩნაძე**

**სტამბოლი 1924 წ.**

* საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის ყოფილი ამხანაგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფილდეს. არჩევანი არა აქვს. საბჭოთა რეჟიმის მთელი გულისყური მიპყრობილია სამხედრო ინდუსტრიისა და საომარი ძალების გაძლიერებისაკენ. მთელი ამ უზარმაზარი ტერიტორიის ბუნებრივი სიმდიდრეებისა და მოსახლეობის ენერგიის ოთხი მეხუთედი სამხედრო ინდუსტრიას ხმარდება. ასტრონომიული თანხები იხარჯება კომუნისტური პროპაგანდისათვის. შ. შტატების სენატორთა ერთი ჯგუფის გამოანგარიშებით მოსკოვი წლიურად ხარჯავს მხოლოდ პროპაგანდისათვის **მილიარდ ნახევარ დოლარს.** რამდენი იხარჯება ჯაშუშების და მეხუთე კოლონების შესანახად, ეს დანამდვილებით მხოლოდ მოსკოვმა იცის, მაგრამ საფიქრებელია, რომ ეს თანხაც მილიარდებს აღწევს.

ადამიანზე ზრუნვა, ადამიანის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება საბჭოთა მთავრობის მიზანი არასოდეს არ ყოფილა. კომუნისტურ ხელისუფლებას ადამიანი იმდენად აინტერესებს, რამდენადაც მას ენერგია აქვს სამხედრო ინდუსტრიაში სამუშაოდ. ადამიანი, ძროხა, ცხენი თუ საამშენებლო მასალა: ფიცარი და აგური, — ყველაფერი საჭიროა იმდენად, რამდენადაც კომუნიზმის დასამყარებლად სარგებლობის მოტანა შეუძლია. ამით აიხსნება, რომ საბჭოთა კავშირში ადამიანის სიცოცხლეს არავითარი ფასი არა აქვს. არც ერთ ქვეყანაში, არც ერთ მთავრობას იმდენი ადამიანი არ მოუკლავს, რამდენიც კომუნისტურმა დიქტატურამ. არც ერთი ქვეყნის ისტორიას არ ახსოვს წამებით სიკვდილის ისეთი და იმდენი რაოდენობის ადგილები, როგორც საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკებია, სადაც ამჟამად **20 მილიონამდე** ადამიანია სასიკვდილოდ განწირული.

რობესპიერი და სხვა პირსისხლიანი ტირანები სტალინთან შედარებით წვრილმან კრიმინალებად მოსჩანან. სტალინმა ადამიანების წამებასა და ხოცვაში, მართლაც მთელ მსოფლიოში ყველაზე დიდ შედეგებს მიაღწია. კომუნისტურმა რეჟიმმა სისტემატიური, წლობით გაგრძელებული შიმშილით ისე გასტეხა მოსახლეობა სულიერად და გახრწნა ზნეობრივად, რომ თავის გასატანად მძარცველობა, ქურდობა, საზოგადო თანხების მითვისება, ერთი მეორის დაბეზღება და მატყუარობა, სავსებით ჩვეულებრივ, ყოველდღიურ მოვლენადაა გადაქცეული. სახელმწიფო დაწესებულებებში, ვისაც ფულთან და სალაროსთან აქვს საქმე, იპარავს ფულს. სავაჭროებში, კოოპერატივებში იპარავენ ფულსაც და საქონელსაც. ამიტომ კოოპერატივები მუდამ ცარიელია.

გაზეთ „კომუნისტის“ ცნობით რევიზიას აღმოუჩენია, რომ ხაშურის ერთ-ერთ კოოპერატივში 65 სახელწოდების საქონლიდან არ აღმოჩნდა 29: კაცის და ქალის კოსტუმები, წინდები, შალის ქსოვილი, საკერავი ძაფი, ფეხსაცმელები, — ყველაფერი ეს მოსამსახურეებს მოუპარავთ. მეორე მაღაზიაში არ აღმოჩნდა მარილი, ნავთი, ხელის საპონი, საკერავი ძაფი. ასეთივე მდგომარეობა ყოფილა ხაშურის გარშემო სოფლებში. ყველგან ქურდობა, მითვისება და მფლანგველობა. ასე მაგალითად, იმავე რაიონის სოფელ ტკოცის კოოპერატივის გამგეს მიუთვისებია და გაუფლანგავს 13,785 მანეთი; კრისხევის დუქნის გამგეს 3,529 მ.; სოფ. ღართის დუქნის გამგეს 3,762 მ.; ხაშურის მთავარი საწყობის გამგეს 7,576 მ.; სურამის კოოპ. გამგეს 47,629 მ.; გომის კოოპ. გამგეს 117,592 მ.; სურამის მეორე კოოპ. გამგეს 38,900 მანეთი. გარდა ამისა ყველგან, სადაც რევიზია მოულოდნელად გაკეთდა, უპოვნიათ გადამალული, მოსაპარავად დამზადებული საქონელი. ამბროლაურში ღვინის შეძენისა და ტრანსპორტის ხარჯების აქტები ყალბად ყოფილა შედგენილი და საწყობის გამგეს მიუთვისებია 11 ათასი მანეთი. ზესტაფონის კოოპერატივს გაუყიდია წიგნებში გაუტარებლად 2,485 კილო ზეთი, ხოლო ყალბი ხელწერილებით 1,600 კილო.

ასეთი მაგალითების მოყვანა შეიძლება დაუსრულებლად. ასე ხდება მთელ საქართველოში. საბჭოთა „ჩინოვნიკობა“ თითქოს ერთმანეთს ეჯიბრება სახელმწიფო ქონების გატაცებაში, ყალბი ხელწერილების წერაში და გეგმების შესრულების შესახებ ყალბი ანგარიშების შედგენაში. ყველა ერთი მეორეს ატყუებს: სოფელი ატყუებს რაიონის ადმინისტრაციას, რაიონი თბილისს და თბილისი მოსკოვს. ცალკე რესპუბლიკებიდან მოსკოვში წარდგენილ მოხსენებებში ქვეყნის პროდუქცია მუდამ გადიდებულადაა ნაჩვენები. ვიდრე მოსკოვი სიყალბეს შეამჩნევს, გარეგნულად ყველაფერი რიგზეა. მაგრამ როგორც კი გამოირკვევა, რომ ეს მოხსენებები და დიაგრამები სინამდვილეს არ შეეფერება, იწყება წმენდები, დახვრეტები და ციმბირში გადასახლება. იცვლება მოსამსახურეთა შემადგენლობა, პოლიციის მეთაურები და მინისტრები, მაგრამ თვით მიზეზი ამ კრიმინალობის წარმოშობისა, თვით სისტემა, რომელმაც ათასობით ადამიანები ქურდებად და კრიმინალებად აქცია, უცვლელი რჩება. ამიტომ ბოროტების ჩარხი განაგრძობს ბრუნვას: ძველების ადგილს ახალი კრიმინალები იჭერენ.

ხალხური ანდაზა ამბობს: თევზი თავიდან ლპებაო. ეს სრული ჭეშმარიტებაა. ხაშურისა და გომის კოოპერატივის ქურდების დასჯა საქმეს ვერ უშველის, რადგან მოსკოვმა ქართველობას ისეთი პირობები შეუქმნა ცხოვრებისა, რომ პატიოსანი შრომით ადამიანი ვერც თავს გაიტანს და ვერც ოჯახს არჩენს. აუტანელმა გაჭირვებამ ბევრი პატიოსანი ადამიანი დააყენა მრუდე გზაზე. ბევრმა პატიოსანმა მამამ თავის ცოლ'შვილის შიმშილისა და სიტიტვლის ნახვას ამჯობინა ქურდობა და სიკვდილიც. ეს არის ტრაღედია საბჭოთა ადამიანის.

მოსკოვს ყველაფერი მიაქვს საქართველოდან: მარგანეცი, ნახშირი, ხე-ტყე, ნავთი, ხილი, ღვინო, ჩაი, თამბაქო, ციტრუსები, ხორცი, ყველი, კარაქი, მატყლი, აბრეშუმი, მინერალური წყლები და მინერალები. ყველაფერი, რაც ბუნებით უხვად დაჯილდოვებულ ამ მდიდარ ქვეყანას მოეპოვება და რის წაღებაც შეიძლება, მიდის მოსკოვისაკენ და საომარ სამზადისს ხმარდება. ქართველი ხალხი დამშეული და უზომო შრომით წელმოწყვეტილი, სევდითა და ბრაზით სავსე შეჰყურებს თავისი ქვეყნის ძარცვას. რა საშუალებით და რითი არჩინონ ოჯახი? შრომის ანაზღაურება საბჭოთა კავშირში მინიმალურია. მუშის თვიური ხელფასი 3-4 სულიან ოჯახს მხოლოდ საჭმელისათვის ორი კვირა ყოფნის. რა ჭამონ დანარჩენი დრო? ან რითი იყიდონ ტანისამოსი? აი ამოცანა, რომელიც მოსვენებას არ აძლევს ქართველ მუშას, მოსამსახურეს, გლეხს და საერთოდ ყველას, გარდა კომუნისტური არისტოკრატიისა. ასეთ პირობებში გასაკვირი არ არის, რომ ერთ დროს პატიოსნებით, სიტყვის დაცვით და ურთიერთ ხელის შეწყობით განთქმულ ქართველებს, ერთმანეთის დაბეზღება დაუწყიათ და ქურდობა გახშირებულა. მთელი ეს უბედურება, სიღატაკე და ზნეობრივი გაღრწნა ადამიანებისა კრემლის ეკონომიური და სოციალური პოლიტიკის აუცილებელი შედეგებია. დიახ, „თევზი თავიდან ლპება!“ საბჭოთა კავშირის თავი კრემლია და იქ ჩასაფრებულ სისხლის მსმელ მანიაკებს უნდა ახსოვდეთ, რომ ისტორია არასოდეს არ აპატიებს მათ ამდენი ერების დამონებას და ამდენი ადამიანების ფიზიკურად და სულიერად წამებას. სტალინმა სიკვდილით თავი გადაირჩინა ადამიანთა სამსჯავროსაგან, მაგრამ ისტორიის განაჩენს ის ვერსად გაექცევა.

**ქართველი**

•••

## შთამაგონებელი მოვლენა

გასული წლის დამლევს იტალიის პრესაში დიდი პოლემიკა გამოიწვია ქრისტიანული დემოკრატიის ორგანო „პოპოლო“-ში გამოქვეყნებულმა დოკუმენტმა. ეს არის დასავლეთის თავისუფალ ქვეყნებში არსებულ კომუნისტური პარტიების ასასრულებლად კრემლის მიერ ბოძებული ინსტრუქცია. ამავე გაზეთის ცნობით გასული წლის მაისის 7-ს დოკუმენტი ჩაბარდა იტალიის კომუნისტურ პარტიას, მაისის 10-ში პარიზს, მაისის 11-ს კომინფორმის ჰამბურგის განყოფილებას და სხვა.

დოკუმენტი შეიცავს 16 ნაბეჭდ გვერდს, დათარიღებულია 1955 წლის აპრილის 16-ით და ხელს აწერს საბჭოთა კომუნისტური პარტიის პირველი მდივანი ხრუშჩოვი.

დოკუმენტის შესავალი ეხება შორეულ აღმოსავლეთს, შემდეგ არჩევს ევროპიულ მდგომარეობას და თავის აგენტებს ურჩევს, რომ „ყველა ქვეყანაში იერიში მიიტანონ ატლანტიური პაქტის და ევროპის თავდაცვის ორგანიზაციებზე. გააძლიერონ ნეიტრალიტეტის სასარგებლო პროპაგანდა და შექმნან ზავისა და მშვიდობიანობის ისეთი ატმოსფერო, რომელიც გაუძნელებს შ. შტატებს და ინგლისს თავის მოკავშირეებს მოსთხოვონ საჭირო შეიარაღებული ძალა. რათა კომუნისტურმა პარტიებმა აიცდინონ პასუხისმგებლობა საჭიროა დაიწყოს „სახალხო ფრონტის“ პოლიტიკა. „საჭიროა ჩვენი ხალხი შევიდეს ყველა ორგანიზაციებში და იქ გააძლიერონ ჩვენი სასარგებლო მუშაობა. მაგ. დას. გერმანიის იმ ორგანიზაციებში, სადაც მერყეობაა დასავლეთთან მჭიდრო კავშირის და თანამშრომლობის საკითხში. იქ მათი მოვალეობა იქნება დაიცვან და გააძლიერონ ანტიდასავლური პოზიციები. საფრანგეთში და იტალიაში ხელი უნდა შეუწყონ მემარცხენე ბლოკის შექმნას და ყოველი საფასურით უნდა შეძვრნენ და დაიჭირონ პოზიციები ავსტრიის სოციალისტურ პარტიაში“ და სხვა..

შემდეგ დოკუმენტი ეხება ამ საქმიანობისათვის საჭირო ფინანსებს და დასძენს, რომ დასავლეთის კომუნისტურმა პარტიებმა ამ საქმიანობის შესახებ ყოველ 15 დღეში უნდა წარუდგინონ მოხსენება მოსკოვს.

ჩვენ არა ვფიქრობთ, რომ მსგავსი ინსტრუქციებით და რჩევა დარიგებებით არ აგზავნიან კომუნისტები კერძო პირებსაც საზღვარგარედ სამუშაოდ, კერძოდ ემიგრანტულ წრეებში. ამიტომ ქართულმა საზოგადოებამ უნდა „ასი ყური და ასი თვალი შეიბას“ რომ პროვოკატორებმა ზიანი ვერ მოგვაყენონ.

***

## პარიზის ბლოკის კონფერენცია მიუნხენში

### (ოფიციალური ინფორმაციიდან)

13—17 თებერვალს მიუნხენში მეწყო ე.წ. „პარიზის ბლოკის“ კონფერენცია. ამ ბლოკში შედიან საბჭოთა კავშირის 8 არა რუსი ერების წარმომადგენლები. კონფერენციას დაესწრენ: ტოვმასიანი (სომხეთი), მირზა ბალა (აზერბეიჯანი), აბრამჩიკ (ბელორუსია), დოვგალი (უკრაინა), ალ. კანტემირი და ახმედ მაგომა (ჩრდ. კავკასია), ნ. ცინცაძე, რ. არსენიძე და ალ. კორძაია (საქართველო), ვერდი მურატ (თურქესტანი), სულტან (იდელ-ურალი) და სხვ. ყოველ დელეგაციას აქვს თითო ხმა.

პოლიტიკური მუშაობის შესახებ მსჯელობის დროს ერთმანეთს დაპირისპირებია ორი აზრი. პირველის მიხედვით პარიზის ბლოკმა უნდა დაამყაროს თანამშრომლობა „ამერიკულ კომიტეტთან, რომლის თავმჯდომარემ, ბ-ნმა სერჯანტმა ბ-ნ დოვგალთან და ბ-ნ კანტემირთან საუბრის დროს თანხმობა განაცხადა პარიზის ბლოკთან თანამშრომლობაზე და მოითხოვა მუშაობის გეგმის წარდგენაო.

მეორე აზრი ეკუთვნის ბ-ნ ნოე ცინცაძეს, რომელიც სთვლის, რომ პოლიტიკური მუშაობის დაწყება, ვიდრე არ მომხდარა შეთანხმება პარიზის ბლოკსა და რუსული დემოკრატიის წარმომადგენლებს შორის, მავნებელი იქნება და მიუღებელიაო. (სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საბჭოთა კავშირში დამონებული ერების პოლიტიკური ბრძოლის წარმოება ბ-ნ ნ. ცინცაძეს მხოლოდ მაშინ მიაჩნია შესაძლებლად, თუ ეს ერები შეუთანხმდებიან რუსეთის დემოკრატიას). ეს აზრი არც ერთი ერის დელეგატს არ გაუზიარებია. ორივე მხარე თავთავის პოზიციაზე დარჩენილა. შემდეგ მომხდარა პრეზიდიუმის არჩევნები. თავმჯდომარედ არჩეულია ბ-ნი **აბრამჩიკი.** თავ-რის ამხანაგად ბ-ნი **ალიხან კანტემირი.** მდივნად ბ. **ტოვმასიანი** და პრეზიდიუმის წევრად ბ-ნი **საზონტიევი** (უკრაინა). არჩევნების ასეთი შედეგებით უკმაყოფილო ბ-ნ ცინცაძეს ახლად არჩეულ პრეზიდიუმისათვის გადაუცია განცხადება, რომელსაც ხელს აწერს ბ-ნი არსენიძეც და სადაც ნათქვამია, რომ პარიზში არსებულმა ქართულმა საბჭომ უნდა გადასინჯოს „ბლოკის“ ახალ პრეზიდიუმთან თავის ურთიერთობის საკითხიო. შეკითხვაზე თუ რამდენ ხანში შეიძლება „ქართული საბჭოს“ პასუხი მივიღოთო, ბ-ნ ცინცაძეს უპასუხია, რომ საბჭო უპასუხებს როცა თითონ მოისურვებსო.

ასეთია მიუნხენიდან მიღებული ინფორმაცია. ამრიგად, „პარიზის ბლოკში“ შემავალი ერებიდან **შვიდს** აღმოაჩნდა ერთნაირი პოზიცია და გაირიყა მერვე, რომელსაც მხარი არავინ დაუჭირა. ჩვენს მდგომარეობაში მყოფი ერების მიერ უარყოფილი და გარიყული დელეგატი ქართველი რომ არ ყოფილიყო, ჩვენ ამ საკითხს მხოლოდ ქრონიკაში აღვნიშნავდით, მაგრამ ბ-ნი ცინცაძე და ბ-ნი არსენიძე კონფერენციაზე ქართველების სახელით ლაპარაკობდენ და ამიტომ საქმე ყველა ქართველს ეხება.

ჩვენ აქამდე სხვანაირი მაგალითები გვახსოვს. ქართველ დელეგატებს მუდამ — კავკასიური იყო ეს თუ „პრომეთეს“ ფრონტი, სადაც იგივე ერები შედიოდნენ — ისე ღირსეულად ეჭირათ თავი, რომ ძალიან ხშირად ყველა სხვა ერების აზრისა და პოზიციის გამომსახველად ისინი გამოდიოდნენ. ასევე იყო თვით „პარიზის ბლოკშიც“, სადაც სიკვდილამდე მთავარ როლს თამაშობდა განსვენებული ევგენი გეგეჭკორი. ამ ორგანიზაციაში ქართველების ასეთი გარიყვა უსათუოდ მაჩვენებელია იმისა, რომ ბ-ნ ცინცაძეს პოლიტიკა, რომელმაც „ვისბადენის“ კონფერენციის შემდეგ ქართულ ემიგრაციაში დიდი პოლემიკა გამოიწვია, მიუღებელი ყოფილა ჩვენს ბედში მყოფი სხვა ერებისთვინაც. რაც უფრო ადრე დაიჯერებს ამას ბ-ნი ცინცაძე მით უკეთესი იქნება ქართველებისა და პირადად მისი სახელისთვისაც.

## ცნობები საქართველოდან

თბილისის რადიო იუწყება (28 იანვარი 56 წ.) რომ საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბრძანებით გადაყენებული არიან შემდეგი პირები: მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დავით მალაქაშვილი; სასოფლო მეურნეობის მინისრი სერგო დურმიშიძე; აღმშენებლობის მინისტრი გიორგი ჯაბუა; პროდუქციის მინისტრი გიორგი რობაქიძე და საქართველოს უმაღლესი სასამართლოს წევრი ამოტ ვატაპეკოვი.

***

იგივე რადიო 15 თებერვალს იუწყება რომ საქართველოში მოხსნილია თანამდებობიდან პარტიული ორგანიზაციების მდივნები, 2,800 კაცი. წმენდები გრძელდება.

თავდაცვის ყოველგვარ საშუალება წართმეულ ხალხს დაუწყია რუსული ენის ბოიკოტი. დიდ ქალაქებში, სადაც რუსულად ბევრი ქართველი ლაპარაკობდა, დღეს ამ ენაზე პასუხს აღარ იძლევიან. საქართველოში ტყვედ ნამყოფი ერთი გერმანელის მოწმობით პროვინციის ქალაქებშიც ქუჩების სახელების წარწერა გადაუკეთებიათ ქართულიდან რუსულად. „ხალხი ზიზღით უყურებდა წარწერების გამოცვლას და როცა არავისი ეშინოდათ, ზედ აფურთხებდნენო — ამბობს გერმანელი.

***

## არწივი ტყვეობაში

მთისა ჰაერზედ გაზრდილი
ციურს კამარას ჩვეული,
წარსულ გმირობის აჩრდილი
და ლანდად გადაქცეული.

ცას გაჰყურებდა არწივი
მარტოდ შთენილი ეული,
გახდა ყვავ-ყორანთ არჩივი
ერთ დროს ვაჟკაცი რჩეული.

ცას გაჰყურებდა არწივი
ყვავთ ყრანტალს არად აგდებდა,
მხოლოდ ხან და ხან სისხლნარევ
ობოლ ცრემლს გადმოაგდებდა.

ნეტა რას ფიქრობს საწყალი
და რა ფიქრებში ვარდება,
ხომ არ მოსწყურდა მთის წყალი
ან ცაში განავარდება?

ჯიხვთა ნახტომის დანახვა,
ცელქი ნიავის ცქრიალი,
ზვავების ხევში ჩამარხვა
და ჩანჩქერების ჩხრიალი.

იქნებ სხვა რამე აწუხებს
და მას ვერ უძლებს ნატყვევი,
რომ დაუყრია მტერთათვის
თავის ბუდე და ბარტყები!

ნუ გეშინიან არწივო,
მხნედ იყავ შენი კვნესა მე,
იქნებ მტერს თავზედ აწვიმოს,
რაც იტანჯე და ეწამე!

„კიდევაც დაიზრდებიან
ბარტყები არწივისანი
ისე არ ამოწყდებიან
ჯავრი არ სჭამონ მტრისანი“.

**მთიელი.**

***

„**ქართული აზრის**“ ფონდისათვის მიღებულია შემოწირულება შემდეგი პირებისაგან: ექ. დ. ჩატარა 20 დ., პრესის მოყვარული 10, ლ. ბარნაბიშვილი 10, ვ. სანგულია 10, ს. კაიშაური 10, ა. კეკელია 10, ნ. თოფურია 10, ექ. გ. გაბლიანი 5, ვ. ს. 5, დ. გუნია 5, ს. კობიაშვილი 5, გ. აბულაძე 10. **სულ 105 დ.**

რედაქცია დიდ მადლობას უხდის შემომწირველთ და მოვაგონებთ ჩვენს პ-ლ მკითხველებს, რომ გაზეთი გამოდის ნებაყოფლობითი შემოწირულების ხარჯზე.

**რედაქცია**

•••

**EDITORIAL BOARD: Dr. G. Gabliani, S. Kaishauri, G. Lolua.**
**EDITOR IN CHIEF: D. Sindikeli**
**12-29 — 120 St. College Point. L. I. New York.**

Printed by Rausen Bros., 142 E. 32nd Street, N. Y. C. 149